

სს „ნენსკრა“

JSC "Neskra"

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ვერტმფრენით მომსახურების შესყიდვა

CPV კოდი:

60424120- „შვეულმფრენების დაქირავება ეკიპაჟთან ერთად“

სავარაუდო ღირებულება – 45 230 ლარი დღგ-ს ჩათვლით

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

საკონტაქტო პირი:

თეიმურაზ კობაძე: მობ: 591-19-88-88 e-mail: tkopadze@partnershipfund.ge

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მუხლი I. შესყიდვის ობიექტი.....	3
მუხლი II. ტექნიკური დავალება.....	3
მუხლი III. სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია.....	3
მუხლი IV. მომსახურების განვების ვადა და ადგილი	3
მუხლი V. მომსახურების ხარისხი და გარანტია.....	3
მუხლი VI. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები	3
მუხლი VII. ხარჯთაღრიცხვა / ფასების ცხრილი	4
მუხლი VIII. დამატებითი ინფორმაცია	4
მუხლი IX. აფიდავიტი	5

მუხლი I. შესყიდვის ობიექტი

- 1.1 შესყიდვის ობიექტი: **ვერტმფრენის მომსახურების შესყიდვა;**
- 1.2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 45 230 ლარი დღგ-ს ჩათლით
- 1.3 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: **სს „ნენსკრა“-ს შემოსავლები.**
- 1.4 სატენდერო კომისიის შემადგენლობა: თეიმურაზ კოპაძე, ივერი სოზიაშვილი, თათია თოფჩიშვილი.

მუხლი II. ტექნიკური დავალება

- 2.1 მიმწოდებელმა (ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი, რომელთანაც გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება) უნდა უზრუნველყოს:
 - **თბილისიდან სოფელ ჭუბურამდე ადამიანთა ტრანსპორტირება ერთი დღის განმავლობაში, ორმხრივი მიმართულებით, ერთჯერადად;**
- 2.2 მომსახურების განწვევის ხანგრძლივობა სავარაუდოდ შეადგენს 4-6 საათს.
- 2.3 ერთმხრივი გადაადგილებიდან უკან დასაბრუნებლად ლოდინის დრო შეადგენს დაახლოებით 1 საათს.
- 2.4 ვერტმფრენით შესაძლებელი უნდა იყოს არანაკლებ 13 ადამიანის ტრანსპორტირება.
- 2.5 მომსახურების განწვევის კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს შემსყიდველი.
- 2.6 მიმწოდებელი ვალდებულია ადამიანთა ტრანსპორტირება განახორციელოს კანონმდებლობის სრული დაცვით

მუხლი III. სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- 3.1 **პრეტენდენტის საბანკო რეკვიზიტები**, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული მისამართი;
- 3.2 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ფორმის - „VII მუხლი“-ს შესაბამისად შევსებული **ხარჯთაღრიცხვა/ფასების ცხრილი**;
- 3.3 **სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სუბკონტრაქტორ(ებ)თან სამართლებრივი ურთიერთობის დოკუმენტ(ებ)ი (ხელშეკრულება, შეთახმება ან სხვა ექვივალენტური დოკუმენტი).

მუხლი IV. მომსახურების განწვევის ვადა და ადგილი

- 4.1 მომსახურების განწვევის ადგილია **ქ. თბილისი-სოფ. ჭუბური.**
- 4.2 **მომსახურების განწვევის ვადა: 2015 წლის სექტემბერი** (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ერთი დღის განმავლობაში)

მუხლი V. მომსახურების ხარისხი და გარანტია

- 5.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს მის მიერ განწვეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი VI. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

- 6.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
- 6.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს: მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია);
- 6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

მუხლი VII. ხარჯთაღრიცხვა / ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	საერთო ფასი ლარი დღგ-ს ჩთ.
1	2	3
1	ვერტმფრენით მომსახურება ერთი დღის განმავლობაში	

(თანამდებობა)

(ხელმოწერა)

(გვარი, სახელი)

შენიშვნა:

- ფასი მითითებული უნდა იყოს ლარში და მოიცავდეს მომსახურების განწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახდელს და გადასახადს.
- შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, თუ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიცავს ხარჯთაღრიცხვა/ფასების ცხრილით გათვალისწინებულ სავალდებულო მონაცემებს.
- წინამდებარე ხარჯთაღრიცხვა/ფასების ცხრილი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი VIII. დამატებითი ინფორმაცია

- 10.1 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.
- 10.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას შესარულოს სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები.
- 10.3 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება.
- 10.4 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ თანახმად, სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან და მოქმედებს აღნიშნული წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ეტაპის დადგომამდე.
- 10.5 ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 120 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპიდან.
- 10.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

მუხლი IX. აფიდავიტი

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმუდავდება ან/და არ გაუმუდავდება კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოდგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.